

სტუდენტის სასწავლო მუშაობაში კვლევითი უნარების და სამეცნიერო-შემოქმედებითი ჩვევების აღზრდა

¹ქეთევან ჭკუასელი, ²რუსუდან სანაძე

¹²ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი პედაგოგიის კათედრა
კვლევაში მონაწილეობდა თსუ სტუდენტთა ჯგუფი:

ვახტანგ გაფრინდაშვილი, სოფო გიორგაძე, შორენა ლომსაძე, ნათია პალიანცი, ნინო ჭელიძე

ანოტაცია:

მსოფლიო საგანმანათლებლო სივრცეში მიმდინარე პროცესები ახალ მოთხოვნებს უყენებს უმაღლეს სკოლას. წინა პლანზე იკვეთება სტუდენტში შემოქმედებითი და კვლევითი უნარების აღზრდა. სტატიაში განხილულია სტუდენტთა კვლევითი მუშაობის ფორმები და მოყვანილია ფილოსოფიის ფაკულტეტის სტუდენტთა მიერ ჩატარებული კვლევითი სამუშაო თემაზე: ფილოსოფიის ფაკულტეტის აბირუტიენტის მოტივაცია და სტუდენტის დამოკიდებულება სწავლების პროცესისადმი.

საკვანძო სიტყვები: სტუდენტი, სასწავლო მუშაობა, კვლევითი უნარები, სამეცნიერო-შემოქმედებითი ჩვევები.

მსოფლიო საგანმანათლებლო სივრცეში მიმდინარე პრობლემები პრინციპულად ახალ მოთხოვნებს აყენებს უნივერსიტეტის წინაშე. ერთიან ფორმაში მოდის უნივერსიტეტის საფეხურებრივი სტრუქტურა, საგანთა საკრედიტო სისტემა, შეფასების სისტემები, საგანთა პროგრამების ფორმები (სიალბუსები) და სხვა. ბუნებრივია, ფორმასთან ერთად იცვლება სწავლების შინაარსი, ორგანიზაციის ფორმები, მეთოდები და პრინციპები. ამ ფონზე, ცხადია იკვეთება უმაღლესი სკოლის მასწავლებლისა და სტუდენტის ურთიერთმიმართების საკითხი და ის მოთხოვნები, რომელსაც თითოეულ მათგანს უყენებს თანამედროვე საგანმანათლებლო სივრცე, რომელიც თავის მხრივ სოციალური და ეკონომიკური დაკვეთებით განისაზღვრება. უნივერსიტეტი შინაარსობრივად კვლავ ინარჩუნებს კვლევისა და სწავლების ტრადიციულ მისიას, რაც იმაზე მიუთითებს, რომ სწორედ ამ მიმართებით უნდა გაშუქდეს როგორც მასწავლებლის პროფესიული ვალდებულებები, ასევე სტუდენტთან მისი დამოკიდებულების, კერძოდ, სწავლება-აღზრდის საკითხები. თუ მეცნიერული კვლევა უმაღლესი სკოლის ერთ-ერთი ფუნქციაა, მაშინ ცხადია, რომ კვლევის პროცესებში მასწავლებელთან ერთად, აუცილებლად ჩართული უნდა იყოს სტუდენტი. ეს კი იმას ნიშნავს, რომ უნივერსიტეტის მასწავლებელი განუხრელად უნდა ზრუნავდეს სტუდენტში კვლევითი და სამეცნიერო-შემოქმედებითი ჩვევების აღზრდასა და ჩამოყალიბებზე. სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის უნარ-ჩვევების ჩამოყალიბება სტუდენტებში ახლად დაყენებული ამოცანა როდია. უმაღლესი სკოლის ამოცანათა შორის მას ყოველთვის ეჭირა გარკვეული ადგილი, მაგრამ უკანასკნელ პერიოდში მიმდინარე ცვლილებებმა, კერძოდ კი, გლობალიზაციისა და ინტეგრაციის პროცესებმა, ახლებური მასშტაბით დააყენა იგი. სამეცნიერო კვლევითი მუშაობის უნართა და ჩვევებით შეიარაღებული სტუდენტის მომზადება უმაღლესი სკოლის ძირითად ამოცანად იქცა. ამავე დროს, ინფორმაციის სწრაფად გაზრდის პირობებში, იგი რამდენადმე ახლებური შინაარსით იქნა გაგებული და დაყენებული, ვიდრე წინა წლებში. საქმე იმაშია, რომ თანამედროვე სპეციალისტს მუდმივად სჭირდება ახალი ინფორმაციის ძალიან სწრაფად მოპოვება და გადამუშავება, რასაც ხშირად ვერ

აკმაყოფილებს თეორიული ცოდნა და აუცილებელი ხდება პრაქტიკული კვლევების ჩატარება, რისთვისაც კურსდამთავრებული მზად უნდა იყოს. მაშასადამე, სტუდენტებში სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ჩვევების ჩამოყალიბება აუცილებელია არა იმიტომ, რომ ყველასაგან მეცნიერი მკვლევარი მომზადდეს, არამედ უპირველეს ყოვლისა იმიტომ, რომ თუ მას არ ექნება ასეთი ჩვევები, იგი ვერავითარ შემთხვევაში ვერ გახდება თავისი დარგის ისეთი სპეციალისტი, როგორსაც მისგან დღევანდელია მოითხოვს, იგი ვერ აჰყვება განვითარების თანამედროვე ტემპს და მეტიც, იგი ვერ შეძლებს სწორად გადაჭრას და შემოქმედებითად მიუდგეს ცხოვებით დაყენებულ ყოველდღიურ პრაქტიკულ კონკრეტულ ამოცანებს. აქედან გასაგებია სტუდენტთა სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის დარგში დღეისათვის დაყენებული ამოცანა, რომ ყველა სტუდენტი სწავლების მთელ მანძილზე ჩაბმული უნდა იყოს სამეცნიერო-კვლევით მუშაობაში. ეს კი უმაღლესი სკოლის პედაგოგიკის, კერძოდ დიდაქტიკის დღის წესრიგში სტუდენტთა სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ძირეული პრობლემის მეცნიერულ გაშუქება-დამუშავებას აყენებს, რაც ჩვენი აზრით, ძალზე სერიოზულ და გადაუდებელ საქმეს წარმოადგენს.

უმაღლესი სკოლის შესახებ დაგროვილი საკმაო ლიტერატურა, საკმარისად ვერ აშუქებს სტუდენტთა სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ძირეულ საკითხებს, უფრო მეტიც, მათი დიდი უმრავლესობა საერთოდ არ ეხება მას. თუმცა ქართველი მკვლევარების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ ეს თემა სერიოზულად აქვთ დამუშავებული. კერძოდ, აღსანიშნავია ა.ბალიაშვილის ნაშრომი “სტუდენტთა საკვლევ-სამეცნიერო მუშაობა”, სადაც ჩვენი აზრით, პრინციპში სწორადაა განსაზღვრული ამ მუშაობის ფორმები. ა.ბალიაშვილის აზრით უმაღლეს სასწავლებელში სტუდენტთა საკვლევ-სამეცნიერო მუშაობა ორი მიმართულებით უნდა მიმდინარეობდეს:

- სასწავლო-საკვლევო მუშაობა, რმელიც ჩართულია სასწავლო პროცესში;
- საკვლევ-სამეცნიერო მუშაობა არ სასწავლო დროს.

როგორც სასწავლო-კვლევით, ისე სამეცნიერო-კვლევით მუშაობას აქვს თავისი ფორმები. დღევანდელი რეალობიდან გამომდინარე ეს ფორმები შეიძლება შემდეგი სახით ჩამოვაყალიბოთ:

სასწავლო-კვლევითი მუშაობა

- კვლევითი ელემენტების შემცველი ლაბორატორიული და პრაქტიკული სამუშაოები
- ახალი ლაბორატორიული ამოცანების დაყენებაში მონაწილეობის მიღება
- სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შესრულება პროფესიული და პედაგოგიური პრაქტიკის პერიოდში
- კვლევითი ელემენტების შემცველი სფეროებისა და მოხსენებების შესრულება სასწავლო დისციპლინის გავლისას
- კვლევითი ელემენტების გამოყენება არასტანდარტული საშინაო დავალების შესრულებისას
- კვლევითი ელემენტების შემცველი საკურსო, საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომები
- სპეციალური დისციპლინის “მეცნიერული კვლევითი საფუძვლების” კურსის მოსმენა

საკვლევ-სამეცნიერო მუშაობა არა სასწავლო დროს

- სტუდენტთა მონაწილეობა სამეცნიერო კონფერენციებში

- სტუდენტთა მონაწილეობა მუდმივ მოქმედ სამეცნიერო სემინარებში
- სტუდენტის მიერ დამოუკიდებლად სამეცნიერო ნაშრომის შესრულება და გამოქვეყნება
- სტუდენტთა მონაწილეობა საგრანტო და სახელშეკრულებო თემებში რომლებიც შესაბამის დეპარტემენტებში მუშავდება
- სტუდენტთა მონაწილეობა სხვადასხვა არასაბიუჯეტო პროგრამებში

სტუდენტთა სამეცნიერო კვლევითი მუშაობის ორივე მიმართულებას აქვს ერთი საერთო მიზანი, რაც იმაში გამოიხატება, რომ:

- სტუდენტი უმაღლესი სასწავლებლის კედლებიდანვე შეეჩვიოს შემოქმედებით მუშაობას
- თითოეული სტუდენტი გაეცნოს სამეცნიერო-შემოქმედებითი მუშაობის და მეცნიერული კვლევის თანამედროვე მეთოდებს
- თითოეულ სტუდენტს გამოუმუშავდეს ექსპერიმენტული და თეორიული კვლევის უნარები
- საფუძვლიანად დაეუფლოს სტუდენტი მეცნიერული კვლევის შედეგების დამუშავებას კომპიუტერის საშუალებით

ზემოთ თმულიდან გამომდინარე ნათელია, რომ ამგვარი უნარების ჩამოყალიბება ვერ მოხერხდება რომელიმე აქტივობის ერთჯერადი შესრულებით, კვლევითი პროცესებით სტუდენტი უწყვეტად უნდა იყოს დაკავებული მთელი სასწავლო დროის მანძილზე, კვლევა შერწყმული უნდა იქნეს სწავლებასთან, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი. ამისათვის დიდ მნიშვნელობას იძენს მუშაობის ერთიანი სისტემის შექმნა, რომელიც მოიცავს უმაღლესი სასწავლებლის სასწავლო, სასწავლო-სამეცნიერო და საკვლევ-სამეცნიერო მუშაობას, ამ სამი სახის ერთ მთლიან ყალიბში მოქცევას. ერთიანი სისტემის არსი იმაში მდგომარეობს, რომ სტუდენტთა სასწავლო, სასწავლო-სამეცნიერო და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა დაგეგმილი უნდა იყოს სპეციალისტის მომზადების საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებში, რომლებიც უზრუნველყოფენ სამუშაოთა სისტემას და თანმიმდევრობას, რაც სწავლების მთელ მანძილზე მთლიანობის შენარჩუნების აუცილებელი პირობაა.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სტუდენტის სასწავლო-კვლევით მუშაობაში ერთ-ერთ სერიოზულ აქტივობას სტუდენტის მიერ საკურსო, საბაკალავრო და სამაგისტრო შრომის შესრულება წარმოადგენს. ამასთან, ამ ტიპის სამუშაოს შესრულებისათვის ძალზე მნიშვნელოვანია სპეციალური დისციპლინის “მეცნიერული კვლევის საფუძვლების” კურსის მოსმენა. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი კურსი ძალზე ნაკლებად იყო ჩართული თსუ-ის სასწავლო გეგმაში. სტუდენტი სრულად გაუთვითცნობიერებელი იწყებდა საკურსო და სადიპლომო ნაშრომის შესრულებას და მისი მუშაობა მხოლოდ ხელმძღვანელის მითითებით შემოიფარგლებოდა. ახალი სასწავლო გეგმების შემოტანამ საკითხთან დაკავშირებით არსებული სურათი რადიკალურად არ შეცვალა, თუმცა გარკვეული მცდელობები შეინიშნება კერძოდ, თსუ-ის პედაგოგიკის კათედრამ 2003 წლიდან ახლებური სისტემით დაიწყო მომავალი მასწავლებლის მომზადება. კათედრის მიერ წარმოდგენილ 60 კრედიტიან მოდულში, რომელიც ბაკალავრის დიპლომის პარალელურად ანიჭებს სტუდენტს მასწავლებლის წოდებას, სავალდებულო საგნად მოიაზრება “პედაგოგიური კვლევის მეცნიერული საფუძვლები” (3 კრედიტი) და საკურსო ნაშრომი საგნის სწავლების მეთოდიკაში (4 კრედიტი). ეს კი სერიოზული სიახლეა მასწავლებლის მომზადების პროცესში, რადგან ყველასათვის ცნობილია, რომ მასწავლებლის პროფესია მუდმივ შემოქმედებითობას,

მუდმივ კვლევას და ამ კვლევის შედეგების ანალიზს მოითხოვს. სხვაგვარად წარმოდგენელია ისეთი რთული საქმის გაძღოლა, როგორცაა მომავალი თაობის აღზრდა, მით უფრო ისეთ სწრაფად ცვლად და განვითარებად სინამდვილეში, როგორშიც დღევანდელი სკოლა იმყოფება. ამდენად თსუ-ის პედაგოგიკის კათედრის ეს წამოწყება ძალზე სერიოზული საქმეა. ამ მოკლე თეორიული ექსკურსის შემდეგ გვინდა წარმოგიდგინოთ ფილოსოფიის ფაკულტეტის სტუდენტთა ჯგუფის მიერ პედაგოგიკაში შესრულებული კვლევითი საკურსო ნაშრომი, რომლის შეფასება-განსჯა მკითხველისათვის მიგვინდია.

საკურსო ნაშრომი პედაგოგიკაში

ფილოსოფიის ფაკულტეტის აბიტურიენტის მოტივაცია და სტუდენტთა დამოკიდებულება სწავლების პროცესისადმი

კვლევა აწარმოეს ფილოსოფიის ფაკულტეტის სტუდენტებმა და კურსდამთავრებულებმა:

1. გაფრინდაშვილი ვახტანგ
2. გიორგაძე სოფო
3. ლომსაძე შორენა
4. პალიანცი ნათია
5. ჭელიძე ნინო

ხელმძღვანელები: ქ.ჭკუასელი, რ.სანაძე, მ.კობახიძე

კვლევის ხასიათი და მეთოდი: ჩვენს მიერ წარმოდგენილი კვლევა, რომელიც ფილოსოფიის ფაკულტეტზე არსებულ მდგომარეობას ეხება დიაგნოსტიკური ხასიათისაა. ჩვენი მიზანი არ ყოფილა რაიმე ახალი მეცნიერული ცოდნის მოპოვება. ჩატარებული სამუშაო საკვლევი თემიდან გამომდინარე ფაკულტეტზე არსებული სიტუაციის ასახვის მცდელობაა.

კვლევის მეთოდი: კვლევისათვის ნაშრომში გამოყენებული იქნა დაკვირვების მეთოდი, ანუ სტუდენტზე გამოკვლევა წარმოებდა ბუნებრივ მდგომარეობაში და არ იყო შემქნილი სპეციალური გარემო.

საკვლევი თემის აქტუალობა და მიზანი: ჩატარებული კვლევის მთავარი მიზანი, როგორ უკვე აღინიშნა არის იმ მდგომარეობის აღწერა, რომელიც დღეისათვის ფილოსოფიის ფაკულტეტზე სუფევს. საკითხი ჩვენი აზრით ერთობ აქტუალურია - ნებისმიერი ფაკულტეტის დეკანატი (პროფესორ-მასწავლებლები) უნდა გაეცნოს თავისი სტუდენტების აზრს, შეხედულებებს ამავე ფაკულტეტის მუშაობასთან დაკავშირებით, ასევე ექნება წარმოდგენა პროფესიის არჩევისას სტუდენტთა მოტივაციის შესახებ, ეცოდინება, თუ რა უფრო აწუხებთ და რა მოსწონთ მათ, რომელი საკითხია მათთვის პრობლემური. ჩვენი აზრით ეს შესაძლებელი იქნება სტუდენტებსა და დეკანატს შორის ურთიერთთანამშრომლობის გზით. ყოველივე ეს გააუმჯობესებს ფაკულტეტის მუშაობის ხარისხს. ამიტომ ჩვენ, ამავე ფაკულტეტის სტუდენტები და კურსდამთავრებულები შევეცადეთ გაგვერკვია სწორედ სტუდენტთა დამოკიდებულება ფაკულტეტისადმი, აგრეთვე მათი მოტივაციის ხარისხი პროფესიის არჩევისას. შევეცადეთ, ჩვენი გამოცდილება შეგვეჯერებინა სტუდენტთა განწყობასთან და შესაბამისად გამოგვეტანა დასკვნები რა თქმა უნდა ჩვენი დასკვნები მოკლებულია აკტეგორიულ ტონს. ამავე დროს დიდი სურვილი გვაქვს, რომ ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევა არ იქნება მხოლოდ საკურსო ნაშრომი, არამედ იგი გახდება ჩვენი ფაკულტეტის

დეკანატის დაინტერესების ობიექტი. ჩვენი სურვილია, ჩვენი ნაშრომი არ დავტოვოთ მხოლოდ კვლევად პასიურ ხასიათში და მან მიიღოს აქტიური ქმედების (ასევე ზემოქმედების) ფორმები. ასევე ვიმედოვნებთ, რომ ჩვენს მიერ ჩატარებული სამუშაო უკვე ერთი წინ გადადგმული ნაბიჯია, რომელიც გამოიწვევს რეფლექსიას დეკანატის მხრიდან.

ფოკუს ჯგუფების შერჩევა: ჩვენ, როგორც ფილოსოფიის ფაკულტეტის სტუდენტებს, რა თქმა უნდა საკუთარი შეხედულებები გაგვაჩნდა ფაკულტეტზე არსებულ მდგომარეობასთან დაკავშირებით. კვლევას რომ არ მიეღო სუბიექტური ხასიათი, კვლევის პროცესში აუცილებლად მივიჩნიეთ ფაკულტეტის სხვა სტუდენტების ჩართვა. ფოკუს-ჯგუფები დაკომპლექტდა ფილოსოფიის ფაკულტეტის ბაკალავრიატის I,II,III,IV და მაგისტრატურის სტუდენტებისაგან. სულ გამოიკითხა 40 სტუდენტი. მოხდა დათი ორ ჯგუფად დაყოფა. ბაკალავრიატის I კურსის სტუდენტებისათვის შეიქმნა ოდნავ განსხვავებული კითხვარი, დამატებითი კითხვის სახით, რომელიც საგამოცდო პრიორიტეტების ჩამონათვალში ფილოსოფიის ადგილის დასაზუსტებლად გამოიყენებოდა.

კვლევის ჩატარების ეტაპები: ჩვენს მიერ წარმოებული კვლევა ორ ეტაპად ჩატადა. პირველ ეტაპზე, შერჩეული ფოკუს ჯგუფის წევრებს ვუსვავდით კითხვებს, თუ რატომ ჩააბარეს ფილოსოფიის ფაკულტეტზე და გაამართლა თუ არა ამ ფაკულტეტმა მათი მოლოდინი. თითოეულ მონაწილეს ურიგდებოდა ცარიელი ფურცლები, სადაც აფიქსირებდნენ საკუთარ მოსაზრებას. კითხვის დასმის პარალელურად მონაწილეებს ვამცნობდით, რომ გამოკითხვა ანონიმური იყო. გუწრფელობის მაღალი ხარისხის მიუხედავად აღმოჩნდნენ სტუდენტები, რომელთაც ყოველგვარი აზრის გამოხატვაზე უარი განაცხადეს, მხოლოდ იმ მიზეზის გამო, რომ “ეზარებოდათ” (5 სტუდენტი). უშუალოდ სტუდენტებისგან მოწოდებული მასალა გადავამუშავეთ სპეციალური წესის მიხედვით, შევაჯერეთ საკუთარ შეხედულებებთან და შევადგინეთ კითხვარი, რომელმაც არა ერთი ცვლილება განიცადა. ჩვენს მიერ შედგენილი კითხვარი შედგება შესავლისა და ორი ნაწილისაგან: პირველი ნაწილი ეხება აბიტურიენტთა მოტივაციას. აქ დასმულია ერთი ძირითადი კითხვა: რატომ ჩააბარეთ ფილოსოფიის ფაკულტეტზე? და შესაბამისი სავარაუდო პასუხები. ეს ის პასუხებია, რომელიც ჩვენ უშუალოდ სტუდენტებმა შემოგვთავაზეს კვლევის პირველ ეტაპზე. კითხვარის მეორე ნაწილი ეხება მოსაზრებას ფაკულტეტის მუშაობის შესახებ. საბოლოოდ კითხვარმა მიიღო სახე:

კითხვარი

აბიტურიენტის მოტივაციის და სასწავლო პროცესზე სტუდენტის აზრის შესახებ
ფილოსოფიის ფაკულტეტი

თქვენი ანონიმურობა დაცული იქნება!

გთხოვთ გულდასმით გაეცნოთ კითხვარს და X-ით მონიშნოთ თქვენთვის სასურველი ვარიანტები. თუ ჩამონათვალში არ არის თქვენთვის მისაღები პასუხი, დამატებით მიუთითეთ
კურსი
სქესი ასაკი
განათლება (სამშალო, უმაღლესი), სად და როდის დაამთავრეთ

	სრულიად არ ვეთანხმები	არ ვეთანხმები	ვეთანხმები	სრულიად ვეთანხმები
რატომ ჩააბარეთ ფილოსოფიის ფაკულტეტზე?				
1. დაბალი კონკურსის გამო	0	0	0	0
2. მშობლების ზეგავლენით	0	0	0	0
3. ახლობლი ადამიანის რჩევით	0	0	0	0
4. საგნის ინტერესის გამო	0	0	0	0
5. ბარდებოდა ის საგნები, რომლებშიც კარგად ვიყავი მომზადებული .	0	0	0	0
6. პერსპექტიული მომავლის გამო	0	0	0	0
7. უკეთესი ვერაფერი მოიფიქრეთ	0	0	0	0
8. არ იცით რატომ	0	0	0	0
9. სხვა მიზეზი (მიუთითეთ)				
* საგამოცდო პრიორიტეტებში ფილოსოფია გეწერათ ადგილზე				

	სრულიად არ ვეთანხმები	არ ვეთანხმები	ვეთანხმები	სრულიად ვეთანხმები
თქვენი აზრით ფაკულტეტზე:				
11. სწავლობთ საინტერესო საგნებს	0	0	0	0
12. გასწავლიან კვალიფიციური პედაგოგები	0	0	0	0
13. გაქვთ ურთიერთობა საინტერესო ადამიანებთან.	0	0	0	0
14. მოგწონთ სწავლების მეთოდები.	0	0	0	0
15. ლექციები გეკითხებათ საინტერესოდ.	0	0	0	0
16. ფაკულტეტს გააჩნია შესაბამისი ლიტერატურა.	0	0	0	0
17. სწავლობთ საჭირო საგნებს.	0	0	0	0
18. მიიღებთ პროფესიის შესაბამის ცოდნას.	0	0	0	0
19. კმაყოფილი ხართ თქვენი პროფესიული არჩევანით.	0	0	0	0
თუ გსურთ რაიმეს დამატება, გთხოვთ მიუთითოთ:				

გმადლობთ თანამშრომლობისათვის

შევსებულ კითხვართა შესავალი ნაწილის გადამუშავების შედეგად მივიღეთ შემდეგი შედეგები:

- ფილოსოფიის ფაკულტეტზე ძირითადად შემოდინან საშუალო განათლების, 17-18 წლის აბიტურიენტები. გამოკითხულ 40 სტუდენტიდან მხოლოდ სამს აღმოაჩნდა უმაღლესი განათლება (21 წლის, 25 წლის და 35 წლის).
- არ გამოკვეთილა გარკვეული ტენდენცია იმისა, აბიტურიენტთა ნაკადი ქალაქიდან უფრო მეტია, თუ რაიონიდან. ამ მხრივ თითქმის თანაბარი მაჩვენებელი მივიღეთ.
- ფილოსოფიის ფაკულტეტზე მდებარეობითი სქესის სტუდენტების აშკარა უმრავლესობა გამოიკვეთა. გამოკითხულ 40 სტუდენტიდან 28 მდებარეობითი სქესისაა.

კითხვარის პირველი ნაწილის კითხვამ – რატომ ჩააბარეთ ფილოსოფიის ფაკულტეტზე? შემდეგი სურათი გვიჩვენა:

- გამოცდილებამ ცხადყო, რომ აბიტურიენტთა უმრავლესობა თავის პროფესიულ არჩევანს აკეთებს სპეციალობაზე კონკურსის მიხედვით. ეს ფაქტი თავს იჩენს ფილოსოფიის ფაკულტეტზეც, სადაც ბოლო 4-5 წლის განმავლობაში საგამოცდო კონკურსმა დაბლა დაიწია. ამას კი შედეგად მოჰყვა ისეთი აბიტურიენტის ჩარიცხვა ფაკულტეტზე, რომელთაც არ აინტერესებდათ საგანი. თუმცა გამოკითხული სტუდენტების 60%-მა პირველ კითხვაზე კატეგორიულად უარყოფითი პასუხი გასცა, 30% - არ დაეთანხმა, 2,5% - დაეთანხმა და 7,5% - სრულიად დაეთანხმა.
- ზოგჯერ აბიტურიენტები თავიანთ პროფესიულ არჩევანში ან საერთოდ არ ერევიან ან ამას მათ მაგივრად მშობლები აკეთებენ. ხშირად აბიტურიენტები ახლობელი ადამიანის რჩევას მისდევენ. ასეთ დროს საგნისადმი დაინტერესების მაჩვენებელი სტუდენტებში დაბალია. გამოკითხულთა უმრავლესობამ (შესაბამისად 77,5% და 65%) საბედნიეროდ ამ პასუხის სავარაუდო ვარიანტებიდან პოზიტიური აირჩია (ანუ სრულიად არ დაეთანხმა).
- ყველაზე უფრო საინტერესო ზოგადად და მით უფრო ჩვენი კვლევისათვის ის საკითხი, თუ რამდენად მაღალია აბიტურიენტებში საგნისადმი ინტერესის ხარისხი. 47,5%-მა სწორედ რომ ამიტომ აირჩია ფილოსოფიის სპეციალობას, 20% - დაეთანხმა, 22,5% - არ დაეთანხმა, დანარჩენი 7,5% კი სრულიად არ დაეთანხმა ამ მოსაზრებას.
- ერთობ საინტერესო აღმოჩნდა თავისი შედეგებით ამ კითხვის რიგირთ მეხუთე სავარაუდო პასუხი – ბარდებოდა ის საგნები, რომლებშიც კარგად იყავით მომზადებული. მიღებული შედეგებით რაიმე ტენდენციის გამოკვეთა ძალზე გაჭირდება. სტუდენტთა აზრი ამ პასუხზე თითქმის თანაბარი იყო: 25% - სრულიად არ დაეთანხმა, 25% - არ დაეთანხმა, 22,5% - დაეთანხმა, 27,5% - სრულიად დაეთანხმა.
- აღმოჩნდა, რომ გამოკითხულ სტუდენტთა 57,5% თვლის, რომ ეს პროფესია სულაც არ აურჩევია პერსპექტიული მომავლის გამო (აქ იგულისხმება დასაქმების პერსპექტივა). მხოლოდ 5% თვლის, რომ ეს პროფესია შესაძლოა მათთვის პერსპექტიული მომავლის გარანტი იყოს. შეიძლება სწორედ ეს არის მიზეზი იმისა, რომ დაინტერესება ამ პროფესიისადმი ძალზე დაბალია.
- შეიძლება ცოტა ირონიულად ჟღერდეს, მაგრამ საინტერესო ფაქტია, რომ არსებობენ აბიტურიენტები, რომლების მომავალ პროფესიას ან იმის გამო ირჩევენ,

რომ უკეთესი ვერაფერი მოიფიქრეს, ან არც კი იციან რატომ აირჩეს მაინცდამაინც ეს პროფესია.

მიღებული შედეგების რაოდენობრივი დათვლისა და დაანგარიშების შედეგად მივიღეთ შემდეგი სურათი:

რატომ ჩააბარეთ ფილოსოფიის ფაკულტეტზე?	სრულიად არ ვეთანხმები	არ ვეთანხმები	ვეთანხმები	სრულიად ვეთანხმები
1. დაბალი კონკურსის გამო	60%	30%	2,5%	7,5%
2. მშობლების ზეგავლენით	77,5%	15%	7,5%	0%
3. ახლობლი ადამიანის რჩევით	65%	20%	7,5%	7,5%
4. საგნის ინტერესის გამო	7,5%	22,5%	20%	47,5%
5. ბარდბოდა ის საგნები, რომლებშიც კარგად ვიყავი მომზადებული .	25%	25%	22,5%	27,5%
6. პერსპექტიული მომავლის გამო	57,5%	27,5%	10%	5%
7. უკეთესი ვერაფერი მოიფიქრეთ	70%	20%	2,5%	7,5%
8. არ იცით რატომ	72,5%	20%	0%	7,5%

კითხვარის პირველი ნაწილი განსხვავებული იყო I კურსელთათვის, რომელთაც დავუსვით დამატებითი შეკითხვა: რომელ ადგილზე გეწერათ საგამოცდო პრიორიტეტებში ფილოსოფია. ამ კითხვაზე პასუხით ნათელი გახდა - პირველკურსელთა რა ნაწილია მართლაც დაინტერესებული საგნით, რომელიც აირჩია. გამოკითხულ პირველკურსელთაგან პრიორიტეტებში ეწერათ: I ადგილი - 3 სტუდენტს, II ადგილი - 6 სტუდენტს, III ადგილი - 2 სტუდენტს, IV ადგილი - 1 სტუდენტს, V ადგილი - 1 სტუდენტს.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენს მიერ მითითებულმა სპეციალურმა გრაფამ, სადაც სტუდენტებს უნდა გამოეთქვათ ის მოსაზრებები, რომლებიც თავად კითხვარში არ ხვდებოდათ, არ გაამართლა. გამოკითხულ 40 სტუდენტთაგან კითხვარის პირველ ნაწილი მხოლოდ 9, ხოლო მეორე მხოლოდ 7 სტუდენტმა შეავსო. უნდა აღინიშნოს, რომ ძირითადად არ იყო გამოთქმული მოსაზრებები, ფრაზები დაახლოებით შემდეგნაირად ჟღერდა: “გისურვებთ წარმატებებს”, “სხვა მიზეზები არ არის”, “არ მახსოვს” და ა.შ.

ასევე ძალზე მნიშვნელოვანია კითხვარის მეორე ნაწილი. აქ სპეციალურად იქნა შერჩეული ის კითხვები, რომელთა შედეგადაც უნდა დაფიქსირებულიყო სტუდენტთა აზრი ფაკულტეტზე სწავლების პროცესის მდგომარეობასთან დაკავშირებით. რა თქმა უნდა, არც ეს კითხვები ყოფილა მხოლოდ ჩვენს მიერ დაკომპლექტებული. კითხვები, შეიძლება ითქვას თავად სტუდენტთა “დაკვეთითაა” შედგენილი. ამ ნაწილის დამუშავების შედეგად შეიძლება ითქვას:

- ხშირად სტუდენტებს უჩნდებათ პროტესტის გრძნობა, იმის გამო რომ ზოგიერთი უინტერესო საგნის ცხრილში არსებობის მიზეზით ისინი ძვირფას დროსა და ენერჯიას კარგავენ. კითხვაზე: “სწავლობთ საინტერესო საგნებს?” გამოკითხულთა 45% არ დაეთანხმა, 35% დაეთანხმა, 20% კი სრულიად დაეთანხმა.
- ბევრი ფაკულტეტისათვის ასევე პრობლემას წარმოადგენს არაკვალიფიციური პედადოგი. ხშირად ლექტორი არა მხოლოდ არაკვალიფიციური, არამედ საერთოდ უინტერესოა სტუდენტისათვის. საბედნიეროდ გამოკითხვამ ჩვენს ფაკულტეტზე ასეთი უარყოფითი შედეგი არ გვაჩვენა.

- სტუდენტები ასევე დიდი ყურადღებას აქცევენ სწავლების მეთოდებს და იმას, თუ საერთოდ როგორ ეკითხებათ ლექციები, რაც აგრეთვე ლექტორის კვალიფიციურობის პრობლემას უკავშირდება. შედეგების მიხედვით აქ არც ისეთი სავალალო მდგომარეობაა, მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ კმაყოფილების ხარისხი მაღალი არაა. გამოკითხულთა 65%-მა გამოხატა ნაწილობრივი კმაყოფილება, სწავლების მეთოდები არ მოსწონს გამოკითხულ სტუდენტთა 20%-ს, 5% კი თვლის, რომ ლექციები არ ეკითხებათ საინტერესოდ.
- ცოდნის გასაღრმავებლად და საერთოდ მეცნიერული მუშაობისათვის ერთ-ერთ აუცილებელ პირობას წარმოადგენს ბიბლიოთეკა, გამოკითხული სტუდენტების 25% - სრულიად არ ეთანხმება, 52,5% - არ ეთანხმება მოსაზრებას, რომ ფაკულტეტის ბიბლიოთეკა სახარბიელო მდგომარეობაშია, 17,5% ეთანხმება, რომ ფაკულტეტს გააჩნია შესაბამისი ლიტერატურა, 5% კი სრულიად ეთანხმება ამ მოსაზრებას.
- ხშირად სტუდენტები ფიქრობენ, რომ ზოგიერთი საგანი სრულიად არ შეესაბამება მათ პროფესიას, გამოკითხულ სტუდენტთა 5% თვლის, რომ ისინი არასაჭირო საგნებს სწავლობენ. 65% არ ეთანხმება მის ცხრილში არსებული საგნების საჭიროებას.
- ფაკულტეტზე პროფესიის შესაბამისი ცოდნის მიღებასთან დაკავშირებით მხოლოდ 2,5% უპასუხა აბსოლიტურად უარყოფითად. 22,5% აზრი კი აბსოლიტურად დადებითია.
- და ბოლოს, კითხვარის მეორე ნაწილის ყველა კითხვის პასუხების შესადარებლად და სტუდენტთა კმაყოფილების ხარისხის განსასაზღვრავად დავსვით კითხვა: კმაყოფილი ხართ თქვენი პროფესიული არჩევანით? ამ კითხვაზე გამოკითხულთა 42,5% სრულიად დადებით პასუხს იძლევა, მხოლოდ 7,5% არჩევანს პესიმისტურად უყურებს.

მიღებული შედეგების რაოდენობრივი დათვლისა და გაანგარიშების შედეგად მივიღეთ შემდეგი სურათი:

თქვენი აზრით ფაკულტეტზე:	სრულიად არ ვეთანხმები	არ ვეთანხმები	ვეთანხმები	სრულიად ვეთანხმები
11. სწავლობთ საინტერესო საგნებს	0 %	45%	35%	20%
12. გასწავლიან კვალიფიციური პედაგოგები	0%	50%	30%	20%
13. გაქვთ ურთიერთობა საინტერესო ადამიანებთან.	5%	40%	32,5%	22,5%
14. მოგწონთ სწავლების მეთოდები.	20%	65%	12,5%	2,5%
15. ლექციები გეკითხებათ საინტერესოდ.	5%	60%	25%	10%
16. ფაკულტეტს გააჩნია შესაბამისი ლიტერატურა.	25%	52,5%	17,5%	5%
17. სწავლობთ საჭირო საგნებს.	5%	65%	17,5%	12,5%
18. მიიღებთ პროფესიის შესაბამის ცოდნას.	2,5%	42,5%	30%	22,5%
19. კმაყოფილი ხართ თქვენი პროფესიული არჩევანით.	7,5%	32,5%	15%	42,5%

რა თქმა უნდა კითხვარის საშუალებით მოპოვებული მასალიდან სხვა მნიშვნელოვანი დასკვნებისა და შედეგების მოტანაა შესაძლებელი, მაგრამ ამ ეტაპისათვის მხოლოდ ამ მონაცემებზე ვამახვილებთ ყურადღებას. აქვე აღვნიშნავთ,

რომ მიღებული მონაცემები კითხვარის ორივე ნაწილის მიხედვით უფრო დეტალურად გვაქვს დამუშავებული, კერძოდ თითოეულ კითხვაზე პასუხების მიხედვით პირობითად მინიჭებული გვაქვს ქულები, ქულათა რაოდენობის მიხედვით დადგენილი გვაქვს უფრო სუბტი მახასიათებლები, მაგრამ ამ მონაცემების აქ მოტანა საჭიროდ არ მიგვაჩნია.

დასკვნის სახით კი აღვნიშნავთ, რომ ჩვენი მიზანი არ ყოფილა კვლევის შედეგად რაიმე კატეგორიული განაცხადის გაკეთება. ჩვენს მიერ დამუშავებული შედეგების ანალიზით შევეცადეთ, არ გაგვეკეთებინა კატეგორიული განცხადებები. ჩვენს სურვილსა და მიზანს წარმოადგენდა არსებული მდგომარეობის გამოკვლევა და შესწავლა; მხოლოდ ალბათური დასკვნების გაკეთება და შესაბამისი პირების (პროფესორ-მასწავლებლების) მცირეოდენი ყურადღების მიპყრობა.

ჩვენ არ გამოგვაქვს საბოლოო დასკვნები. თითოეული საკითხით დაინტერესებული პირი, ნაშრომის გაცნობის შემთხვევაში თავად გავა შესაბამის შედეგზე. ჩვენ კი მხოლოდ ერთს ვიმედოვნებთ, რომ წარმოდგენილ კვლევას გამოხმაურება მოჰყვება და ამით ჩვენი მიზანი ნაწილობრივ მიიღწევა.